ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95232281**

თარიღი:**16/08/2023**

ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი პედაგოგის მიმართულებების დამატების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.მოწონებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს მიერ ინიციირებული წინადადება ,,ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის ცენტრთან არსებულ სალოტბარო სკოლაში რეგენტი მგალობლის და ინსტრუმენტების შემსწავლელი მიმართულებების დამატების თაობაზე“.

2.საკრებულოს სოციალური საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე) ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

3.მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა (სამსახურის უფროსი - ეკატერინე ქაჯაია) ამ განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაციების შემუშავება.

4.განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ჰამიდა ზოიძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი